



სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
CIVIL SOCIETY INSTITUTE

ზრუნვაზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების
საარსებო გარემოს საექსპერტო კვლევა

თბილისი 2007

ზრუნვაზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების საარსებო გარემოს საექსპერტო კვლევა

მეთოდოლოგია

2007 წლის ოქტომბერში სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ იქნა ზრუნვაზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების საარსებო გარემოს საექსპერტო კვლევა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმ გარემოს შეფასება, რომელშიც უწევს ფუნქციონირება ზემოთ აღნიშნულ ორგანიზაციებს.

საარსებო გარემო განისაზღვრა შემდეგი ინდიკატორებით:

- საკანონმდებლო გარემო;
- ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების ადგილი საზოგადოებაში და მათ მიმართ გარემოს აქტორების დამოკიდებულება;
- ფინანსური გარემო;
- კონკურენტული გარემო.

თითოეული ინდიკატორი თავის მხრივ განისაზღვრა ქვეინდიკატორების საშუალებით:

1. საკანონმდებლო გარემო (*რამდენად უწყობს ხელს კანონმდებლობა ორგანიზაციების საქმიანობას*)
 - 1.1. დაფუძნება-ფუნქციონირება
 - 1.2. რეგისტრაცია
 - 1.3. ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების განსაზღვრული სახის საქმიანობების ლიცენზირების მარეგულირებელი კანონმდებლობა
 - 1.4. საგადასახადო კანონმდებლობა

- 1.5. საქველმოქმედო საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა
- 1.6. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონი.

2. ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების ადგილი საზოგადოებაში და მათ მიმართ გარემოს აქტორების დამოკიდებულება *(რამდენად უჭერს მხარს გარემო ზრუნვაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებს)*

- 2.1. საზოგადოების დამოკიდებულება ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების მიმართ
- 2.2. სახელმწიფოს დამოკიდებულება ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების მიმართ
- 2.3. მედიის დამოკიდებულება ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების მიმართ
- 2.4. ბიზნეს სექტორის დამოკიდებულება ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების მიმართ
- 2.5. NGO სექტორის დამოკიდებულება ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების მიმართ

3. ფინანსური გარემო *(რამდენად მდგრადია ფინანსური გარემო)*

- 3.1. დონორები
- 3.2. სახელმწიფო დაფინანსება
- 3.3. ბიზნესი
- 3.4. ფონდების (შემოსავლების) დივერსიფიკაციის შესაძლებლობები


4. კონკურენტული გარემო *(რა ბაზარი არსებობს სოციალური სერვისისთვის)*

- 4.1. სახელმწიფო ინსტიტუციები
- 4.2. ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციები
- 4.3. ზრუნვაზე ორიენტირებული ბიზნესი

თითოეული ქვეინდიკატორი ფასდებოდა 4 ბალიან შკალაზე (0-4) სადაც 0 ნიშნავს ქვეინდიკატორის შეფასების ყველაზე დაბალ, ხოლო 4 ყველაზე მაღალ ხარისხს (დაწვრილებით აღწერა იხ. ანკეტა დანართი №1).

შედეგები

დიაგრამა 1. ზრუნვაზე ორიენტირებულ ორგანიზაციათა საარსებო გარემოს საექსპერტო შეფასება. 2007 წელი.




ზრუნვაზე ორიენტირებულ ორგანიზაციათა საარსებო გარემო ექსპერტთა მიერ საშუალოზე ოდნავ დაბალი მაჩვენებლით შეფასდა. საარსებო გარემოს ზოგადი ინდექსი **1.4**¹-ის ტოლია. ყველაზე მაღალი შეფასება (1.6) საკანონმდებლო გარემომ, ხოლო ყველაზე დაბალი კონკურენტულმა გარემომ (1) მიიღო.

¹ ინდექსის მაქსიმალური შესაძლო მაჩვენებელი “3”, მინიმალური შესაძლო მაჩვენებელი “0”.

საკანონმდებლო გარემო. ინდექსი 1.6.

დიაგრამა 2. ზრუნვაზე ორიენტირებულ ორგანიზაციათა საკანონმდებლო გარემოს საექსპერტო შეფასება.



ძირითადი კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას, არის საქართველოს კონსტიტუცია, 1997 წელს მიღებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (რომელშიც არსებითი ცვლილებები შევიდა 2006 წელს), 2004 წელს მიღებული საგადასახადო კოდექსი და 1996 წლის ივნისში მიღებული კანონი „გრანტების შესახებ.“

არასამეწარმეო ორგანიზაციების საკანონმდებლო გარემო 2007 წლისათვის, ექსპერტთა უმრავლესობის შეფასებით, ლიბერალურია და არსებითად არ აფერხებს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შექმნასა და ფუნქციონირებას. თუმცა მნიშვნელოვანი პრობლემებია საქველმოქმედო კანონმდებლობის მიმართულებით. (ქვეინდექსი 0.6. დიაგრამა №2).

ექსპერტთა მოსაზრებით **ქველმოქმედების მარეგულირებელი კანონმდებლობა არსებობს, თუმცა პროცედურები რთული და გაუმართავია, შეღავათები მცირეა.** საქველმოქმედო სტატუსის მიღება საქველმოქმედო ორგანიზაციის მიერ, მიუხედავად მისი პროცედურული სიმარტივისა, არანირ შეღავათს თავად ორგანიზაციას არ ანიჭებს, ხოლო ბიზნესისთვის 8%-იანი შეღავათი მოგების გადასახადიდან მცირე სტიმულია ქველმოქმედების გასაწევად.

შედარებით დაბალი სექსპერტო შეფასება მიიღო საგადასახადო კანონმდებლობამ (ქვეინდექსი 1.3 დიაგრამა №2) და “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” (ქვეინდექსი 1.2 დიაგრამა №2) კანონმა.

ექსპერტთა აზრით, ზრუნვაზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეკონომიკურ საქმიანობაზე საგადასახადო შეღავათების არსებობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმია მათი ფინანსური სტაბილურობისთვის. **დღესდღეობით საგადასახადო შეღავათები ვრცელდება მხოლოდ შემოსავლების გარკვეულ ტიპზე.** ზრუნვაზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები ადგილობრივი რესურსების სერიოზულ დეფიციტს განიცდიან. ექსპერტები თვლიან, რომ შესაძლებელია ეს დეფიციტი სწორედ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით შეივსოს. გარდა ფინანსური სტაბილურობისა, ასეთი ტიპის ორგანიზაციების საქმიანობის სპეციფიკა რიგ შემთხვევაში გულისხმობს ბენეფიციართა შრომით თერაპიას, რაც თავის მხრივ სახელოსნოების, და სხვა სახის დამხმარე ბიზნესის წარმართვას საჭიროებს, ² მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი განიხილებიან, როგორც კომერციული ერთეულები და იბეგრებიან მოქმედ რეჟიმში და არსებული

² ასეთი სახელოსნოები და საამქროები ზრუნვაზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებს როგორც წესი საკუთარი ოფისისა თუ ამ ორგანიზაციის საკუთრებაში არსებულ მიწაზე აქვთ განთავსებული.

შედავათები³ ამ შემთხვევაში მათზე აღარ ვრცელდება, რაც სერიოზული დესტიმულატორის როლს თამაშობს ორგანიზაციებისთვის.

ანალოგიური პრობლემები არსებობს “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” კანონთან დაკავშირებით. **ექსპერტთა აზრით კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მნიშვნელოვან სირთულეებს უქმნის ზრუნვაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებს.**

ამის მიზეზად კი სახელდება: სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების სირთულე, ტენდერის პროცედურების გაუმართაობა, სახელმწიფოს მიერ სერვისზე დადგენილი ფასების სიმცირე, სახელმწიფოსა და ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების ურთიერთობა სახელმწიფოსათვის სერვისის მიწოდების სფეროში რეგულირდება “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” კანონით, რაც ამ ორგანიზაციებს დაბეგვრის მოქმედ რეჟიმში აქცევს.

ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების განსაზღვრული სახის საქმიანობების ლიცენზირების მარეგულირებელი კანონმდებლობა გარკვეულ სირთულეებს უქმნის ამ მიმართულებით მოქმედ ორგანიზაციებს. (ქვეინდექსი 1.7 დიაგრამა №2).


ლიცენზირებად საქმიანობას განეკუთვნება მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა. მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სადღეღამისო სააღმზრდელო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ლიცენზიები გაიცემა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, ხოლო იმავე ბავშვთა მხოლოდ დღის სწავლების ცენტრებისთვის ლიცენზიები გაიცემა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ

³ მაგალითად ქონების გადასახადი

და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სააღმზრდელო, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზიის გაცემა ხდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით, განმცხადებლის მიმართვის საფუძველზე, რომელსაც უნდა დაერთოს საბუთები, რომლის წარმოდგენა ორგანიზაციის მიერ ხშირად ვერ ხერხდება. მაგალითად: საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროგრამები. მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სადღეღამისო სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარდგენილ პროგრამაში აღწერილი უნდა იყოს აღზრდის მეთოდოლოგია და დღის წესრიგი; დღეს მოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აქვთ შემუშავებული სხვადასხვა სახის სასწავლო თუ სარეაბილიტაციო პროგრამა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის აღიარებული საქართველოში. გარდა ამისა, ექსპერტთა მოსაზრებით ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ლიცენზიის მაძიებელი, არ არის საკმარისი საქმიანობის რეგულირებისთვის და არ განსაზღვრავს სერვისის მიწოდების ეფექტურობას. მათი აზრით აუცილებელია დაინერგოს ის სტანდარტები, რომლებიც შემუშავდა დეინსტიტუციონალიზაციის პროგრამის ფარგლებში, რაც თავისთავად ასახვას პოვნებს ბავშვზე ზრუნვის საქმიანობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში.

ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების ადგილი საზოგადოებაში და მათ მიმართ გარემოს აქტორების დამოკიდებულება. ინდექსი 1.4

დიაგრამა 3. ზრუნვაზე ორიენტირებულ ორგანიზაციათა ადგილი საზოგადოებაში და მათ მიმართ გარემოს აქტორების დამოკიდებულება - საექსპერტო შეფასება.



ყველაზე დაბალი საექსპერტო შეფასება მიიღო ქვეინდიკატორმა “საზოგადოების დამოკიდებულება ზრუნვაზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ”. (ქვეინდექსი 0.7. დიაგრამა №3) საზოგადოებას უმეტესად სახელმწიფოს მიერ წარმოებული საინფორმაციო კამპანიების თემებთან ასოცირებული ორგანიზაციების შესახებ სმენია (შიდსი, ნარკომანია, დევნილთა პრობლემები).

მოსახლეობამ არ იცის კონკრეტულად რა სერვისს სთავაზობენ ეს ორგანიზაციები ბენეფიციარებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმეტესობისთვის ეს ორგანიზაციები ჰუმანიტარული დახმარების გამტარებლებად უფრო აღიქმებიან, ვიდრე კონკრეტული სერვისის მიმწოდებლებად.

საზოგადოების უმნიშვნელოდ მცირე ნაწილია ჩართული ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების საქმიანობაში და ეწევა მოხალისეობრივ საქმიანობას. ასევე უმნიშვნელოდ მცირე ნაწილია გაწევრიანებული ამ ტიპის ორგანიზაციაში. საზოგადოების დიდ ნაწილში არსებობს ნეგატიური სტერეოტიპები ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების საქმიანობის და მათი ბენეფიციარების მიმართ, რაც აისახება ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტურობაზე.

ექსპერტთა აზრით, არსებობს არა მხოლოდ ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების, არამედ ზრუნვის ჯგუფების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების პრობლემაც. მათი მოსაზრებით საზოგადოება ცდილობს გაემიჯნოს სოციალური ზრუნვის ჯგუფებს. მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ საზოგადოების დიდი ნაწილი უყურადღებოა, არ ინტერესდება, უგულბებლყოფს მათ პრობლემებს, დამოკიდებულება მათ მიმართ უარყოფითია.

სხვა აქტორების დამოკიდებულებებთან შედარებით მაღალი შეფასება მიიღო სახელმწიფოს დამოკიდებულებამ ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების მიმართ (ქვეინდექსი 1.7⁴ დიაგრამა №3). ექსპერტთა აზრით, ორგანიზაციები თავისუფლად საქმიანობენ. სახელმწიფოს მხრიდან კონტროლი მხოლოდ კანონიერი საზოგადოებრივი ინტერესებით არის განპირობებული, ორგანიზაციებს აქვთ უფლებადაცვითი საქმიანობა,

⁴ საშუალო ქვეინდექსი 1.7-ის ტოლია, იგი წარმოადგენს ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულებისა და სახელმწიფოს მიერ ამ ორგანიზაციების დაფინანსების შემადგენელი ქვეინდექსების საშუალოს.

ადვოკატირების შესაძლებლობა, ამ მხრივ შეზღუდვები მინიმალურია. ექსპერტთა აზრით, ორგანიზაციებისთვის მხოლოდ სახელმწიფოს ჩაურევლობა და ადვოკატირების შესაძლებლობების უზრუნველყოფა არ განსაზღვრავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების მიმართ. თანამშრომლობის სახიათი და ინტენსივობაც მნიშვნელოვანია. სახელმწიფოს აქვს კომუნიკაცია მხოლოდ ორგანიზაციების ვიწრო წრესთან ან მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ურთიერთობს მათთან.

საყურადღებოა, რომ ექსპერტთა მიერ დაახლოებით ერთნაირ დონეზე განიხილება ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების მიმართ მედიის, საზოგადოებრივი სექტორის დამოკიდებულება, ხოლო ბიზნესის ⁵ დამოკიდებულება ექსპერტთა შეფასებით 1.2-ის ტოლია. (დიაგრამა № 3).

ექსპერტთა აზრით საზოგადოებრივი ორგანიზაციები ზრუნვაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობენ ცალკეული პროექტების ფარგლებში, თუმცა ეს თანამშრომლობა ერთჯერად ხასიათს ატარებს და უმეტესად განსაზღვრულია დონორების კონკრეტული საგრანტო კონკურსის პოლიტიკით. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ის ნაწილი, რომელიც თავად ზრუნვის სფეროში მოღვაწეობს, უფრო დაბალ შეფასებას აძლევს სექტორის შიგნით არსებულ გარემოს, ვიდრე სხვა სფეროში მოღვაწე ექსპერტები. მათი აზრით ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციები არ მოიაზრებიან სექტორის **სრულფასოვან** წევრებად და თანამშრომლობა ძალიან სუსტია.


საექსპერტო შეფასებით, ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების საქმიანობით ბიზნესი არ ინტერესდება, შემოიფარგლება ერთჯერადი დახმარებით ორგანიზაციების მხრიდან ბიზნესისთვის თხოვნით მიმართვის შემთხვევაში. ბიზნესსა და ზრუნვაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობა დამყარებულია პირად კონტაქტებზე.

⁵ საშუალო ქვეინდექსი უდრის 1.2-ს. იგი წარმოადგენს ბიზნესის დამოკიდებულებებისა და ბიზნესის მიერ ამ ორგანიზაციების დაფინანსების ინდექსების საშუალოს.

არ არის ჩამოყლიბებული ურთიერთობის კულტურა. თავად ბიზნესი ქველმოქმედების გაწევის სურვილს გამოთქვამს ხშირ შემთხვევაში მაშინ, როდესაც ბრენდის ან საქონლის რეკლამირება სურს.

ექსპერტთა აზრით მედია არ ანებივრებს ზრუნვაზე ორიენტირებულ ორგანიაციებს საკუთარი ყურადღებით. მედია პერიოდულად ინტერესდება პრობლემატიკით, ძირითადად მაშინ, როდესაც თემა პოლიტიკურად სკანდალური ხდება. ექსპერტთა ამ შეფასებას ადასტურებს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული პრესის მონიტორინგის შედეგებიც, რომლის მიხედვით, 11 თვის მანძილზე ქართულ რეიტინგულ გაზეთებსა და ჟურნალებში (13 გამოცემა) დაიბეჭდა სულ 362 პუბლიკაცია. სტატისტიკურად, თითოეულ გამოცემაში არის თვეში 1 სტატია/ინფორმაცია. დიაგრამაზე №4 მოცემულია პუბლიკაციათა განაწილება თემატიკის მიხედვით.

დიაგრამა 4. მონიტორინგის შედეგები – პუბლიკაციათა განაწილება თემატიკის მიხედვით




მონიტორინგის შედეგების მიხედვით სტატიათა სიხშირე დამოკიდებულია ორ ძირითად ფაქტორზე: 1) ზრუნვის სხვადასხვა ჯგუფებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო თარიღები⁶ და 2) ცვლილებები სოციალური პოლიტიკის სფეროში (საკანონმდებლო ინიციატივები, რეგულაციები და სხვა)⁷.

ექსპერტთა მოსაზრებით ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების მიმართ მედიის დამოკიდებულებას განსაზღვრავს ერთის მხრივ სოციალური თემების არაპოპულარობა, ხოლო მეორეს მხრივ მედიის იმ წარმომადგენელთა არაპროფესიონალიზმი, რომლებიც მუშაობენ სოციალურ თემებზე.

⁶ იუნისი – ბავშვთა საერთაშორისო დღე. დეკემბერი - ინვალიდთა საერთაშორისო დღე.
⁷ მარტი – სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის სფეროში გატარებული რეფორმები.

ფინანსური გარემო. ინდექსი 1.5

დიაგრამა 5. ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების ფინანსური გარემოს საექსპერტო შეფასება.



ექსპერტთა აზრით, არ არსებობენ ქართული შიდა დონორი ორგანიზაციები, რომლებიც ფინანსურად მხარს დაუჭერდნენ ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების საქმიანობას. ქვეყანაში არსებული საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების აფინანსებენ ზრუნვაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებს, თუმცა მათი რიცხვი მცირედება. გარე დონორების მხოლოდ მცირე ნაწილი აფინანსებს ზრუნვაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებს და მათ მიერ გამოყოფილი თანხები მცირეა. (ქვეინდექსი დაფინანსება დონორების მხრიდან 1.4 დიაგრამა №5)

ექსპერტთათვის კარგად არის ცნობილი, რომ ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების დაფინანსების ძირითადი წყარო საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები არიან. ასევე ცნობილია, რომ მათი შემოსავლების 50-100%-ს გრანტით მიღებული შემოსავლები წარმოადგენს. ექსპერტები თვლიან, რომ დონორი ორგანიზაციები ნელ-ნელა წყვეტენ საქმიანობას საქართველოში, რაც აისახება ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების ფინანსურ მდგარობაზე. გარდა ამისა, იმ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების რიცხვი, რომელიც ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციებს გაუწევდა ფინანსურ დახმარებას, მცირეა. საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული დონორი ორგანიზაციების მხოლოდ მცირე ნაწილისთვის არის საქმიანობის ფოკუსი საქართველო.

ქართული ფონდები, ექსპერტთა მოსაზრებით საერთოდ არ იჩენენ ინტერესს ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების განვითარებით. მათი საქმიანობა მიმართულია კონკრეტული ოჯახებისა თუ სოციალური ზრუნვის ჯგუფის დახმარებისკენ.

ექსპერტთა უმეტესობის აზრით, საქართველოში ბიზნესსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ჯერ კიდევ არ არის მყარი თანამშრომლობითი კავშირები. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ორგანიზაციის დაფინანსებაში მცირე წვლილი შეაქვს ბიზნეს ორგანიზაციებს, თანამშრომლობა უმეტეს შემთხვევაში ერთჯერად სპონტანურ ხასიათს ატარებს და უფრო საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურობის შედეგია, ვიდრე ბიზნესის წარმომადგენელთა ინიციატივისა. ექსპერტთა აზრით ორგანიზაციების მხოლოდ ვიწრო წრე იღებს დაფინანსებას კერძო სექტორიდან და დაფინანსების წილი უმნიშვნელოა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებობს კანონი ქველმოქმედების შესახებ, რომელიც ბიზნეს ორგანიზაციებს

ქველმოქმედების გაწევის შემთხვევაში შედავათიან საგადასახადო რეჟიმში აქცევს, ექსპერტთა მოსაზრებით ეს მაინც არ არის სტიმული ბიზნესის მხრიდან კორპორატიული ქველმოქმედების გაწევისთვის. ექსპერტთა მოსაზრებით ბიზნესს არა აქვს გაცნობიერებული თუ რა ორმხრივი სარგებელის მოტანა შეუძლია ასეთი ტიპის ქველმოქმედებას ბიზნესის მხრიდან. საზოგადოება უკვე ხედავს ბიზნესის სოციალურ როლს, თავად ბიზნესსაც აქვს მზაობა დააფინანსოს ესა თუ ის სოციალური მიმართულება, თუმცა კარგად არ არის ჩამოყალიბებული კავშირი თავად ზრუნვაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებსა და ბიზნეს ორგანიზაციებს შორის. ექსპერტთა მოსაზრებით საჭიროა ბიზნესმა მიიღოს მეტი ინფორმაცია ასეთი ორგანიზაციების შესახებ. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება მედიას შეუძლია.

როგორც წინამდებარე კვლევამ აჩვენა, დღის წესრიგში დგას საერთაშორისო დაფინანსების ადგილობრივი წყაროებით ჩანაცვლების აუცილებლობა. რიგმა დონორმა ორგანიზაციებმა საქართველოდან წასვლის შესახებ განცხადებები გააკეთეს. სიტუაცია განსაკუთრებით მძიმეა ზრუნვაზე ორიენტირებული იმ ორგანიზაციებისათვის, რომელთაც ყველაზე მოწვევადი ბენეფიციარები ჰყავთ და რომელთათვისაც სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების ფინანსური სტაბილურობა უმნიშვნელოვანესი საკითხია. დღესდღეობით სახელმწიფოს ეფექტიანი სოციალური სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციები სჭირდება. ასეთ მიმწოდებლებს კი, ექსპერტთა აზრით, ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციები წარმოადგენენ. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსების გამართული მექანიზმების არსებობა. ექსპერტთა თვლიან, რომ სახელმწიფომ პირველი ნაბიჯები გადადგა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების მიმართულებით, ეს ეხება სოციალური სერვისების შეყიდვას. საექსპერტო შეფასებით ქვეყანაში სოციალური სერვისების აუტსორსინგის პოლიტიკა ფორმირების პროცესშია. ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციები


განიხილებიან სოციალური მომსახურების ეფექტურ მიმწოდებლებად. სახელმწიფო ცალკეულ შემთხვევებში ყიდულობს სერვისს მათგან, თუმცა უმეტესად ეს ერთჯერადი ხასიათის ღონისძიება ან/და კონკრეტული ბენეფიციარის დახმარებაა. ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ სახელმწიფოს არ აქვს ბოლომდე გაცნობიერებული აუტსორსინგის, როგორც კვალიფიციური სოციალური სერვისის მიღების აუცილებლობა და არ არის შემუშავებული ეფექტური მექანიზმი, რომლითაც დარეგულირდებოდა ურთიერთობა სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის. ექსპერტთა აზრით, სახელმწიფოს მიერ ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციებისგან სერვისის შესყიდვას უნდა არეგულირებდეს არა “შესყიდვების შესახებ კანონი”, არამედ სახელმწიფომ გრანტისა და პირდაპირი სუბსიდირების გზით უნდა შეისყიდოს სერვისი, რაც ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობისთვის გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება. ამისათვის უნდა შეიქმნას ჩარჩო კანონი სახელმწიფო გრანტებისა და სუბსიდიების შესახებ. კანონმა უნდა განსაზღვროს გრანტის/სუბსიდიის გაცემაში სახელმწიფო ორგანოები და მიმღები ორგანიზაციების ტიპები, განსაზღვროს სფეროები და საქმიანობის სახეები, რომელთათვისაც მიზანშეწონილია გრანტის/სუბსიდიის გაცემა, განსაზღვროს გრანტის/სუბსიდიის გაცემის მექანიზმი და კონკურსების ჩატარების ჩარჩო პირობები. ასევე უნდა შემუშავდეს გრანტის/სუბსიდიის გამოყენების მონიტორინგის და კონტროლის ეფექტური მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს გაცემული თანხის მიზანმიმართულ და ეფექტურ გამოყენებას.

ექსპერტთა აზრით ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობა დამოკიდებულია მათი ფინანსური წყაროების დივერსიფიკაციის შესაძლებლობებზე. საექსპერტო შეფასების მიხედვით ზრუნვაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებს აქვთ ფონდების დივერსიფიკაციის შესაძლებლობები. ქვეყნის სოციალურ ეკონომიკური

კონტექსტი იძლევა საშუალებას ორგანიზაციის შემოსავლები იყოს დივერსიფიცირებული და გააჩნდეთ დაფინანსების სამი წყარო. თუმცა პრაქტიკაში ხშირად დომინირებს ერთ-ერთი. (ფონდების დივერსიფიკაციის შესაძლებლობების ინდექსი 1.8. დიაგრამა №5) ექსპერტთა აზრით, ორგანიზაციების შემოსავლების დივერსიფიცირების საშუალება არსებობს, მაგრამ თავად ორგანიზაციების ფინანსური რესურსების მოზიდვის შესაძლებლობებია სუსტი. ამ მოსაზრებას ადასტურებს სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევების შედეგები, რომლის მიხედვითაც ზოგადად საზოგადოებრივი ორგანიზაციების შემოსავლები არ არის დივერსიფიცირებული და ძირითადად ერთი ან ორი წყაროდან ივსება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ფინანსური რესურსების მობილიზაციისთვის საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო გარემოს უზრუნველყოფა და მისი ლობირება, ხოლო ლობირების მექანიზმების ფლობა არ წარმოადგენს ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების ძლიერ მხარეს.

კონკურენტული გარემო ინდექსი 1

დიაგრამა 6. ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების კონკურენტული გარემოს საექსპერტო შეფასება.



ექსპერტთა აზრით სოციალური სერვისის ბაზარი არ არის ძლიერი და მისი აქტორები არ წარმოადგენენ ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციებისთვის ძლიერ კონკურენტებს, მათი აზრით ასეთი ორგანიზაციები უფრო ეფექტიან სოციალურ სერვისს აწვდიან ბენეფიციარებს და ბაზარზე მნიშვნელოვნად იმყარებენ პოზიციას.


რაც შეეხება სახელმწიფო ინსტიტუციებს, საექსპერტო შეფასებით მათ უჭირთ ადეკვატური სოციალური მომსახურების მიწოდება და ბაზარზე მათი პოზიცია მნიშვნელოვნად შესუსტებულია.

ანალოგიური საექსპერტო შეფასება მიიღო ბიზნეს ორგანიზაციების სოციალური სერვისის მიწოდების შესაძლებლობებმა, ექსპერტთა აზრით

ბიზნეს ორგანიზაციები ვერ აწვდიან ადექვატურ სოციალურ მომსახურებას ბენეფიციარებს ასეთი ტიპის ორგანიზაციები ძალზე მცირეა და ბაზარზე მათი პოზიცია ძალიან სუსტია.

საექსპერტო შეფასების საფუძველზე სოციალური სერვისის ბაზრის აქტორების წილები შემდეგნაირად ნაწილდება: (დიაგრამა №7).

დიაგრამა 7. ზრუნვაზე ორიენტირებული აქტორების წილი სოციალური სერვისის ბაზარზე



ექსპერტთა მიერ გამოითქვა ვარაუდი, რომ ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების განვითარების ვექტორი დადებითია და უახლოეს 2-5 წლის განმავლობაში ეს ორგანიზაციები ბაზარზე საკუთარ წილს გაზრდიან.

სახელმწიფო ინსტიტუციებს ამ ეტაპზე არ აქვთ მყარი პოზიციები და უახლოეს 2 წელში მათი წილი ბაზარზე შემცირდება, რასაც ხელს შეუწყობს დენსტიტუციონალიზაციის პროცესი და სოციალური სერვისების აუტსორსინგის სახელმწიფო პოლიტიკა.

რაც შეეხება ზრუნვაზე ორიენტირებულ ბიზნესს, ექსპერტები ახლო მომავალში ვერ ხედავენ ამ ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს, თუმცა 5 წლის შემდეგ შესაძლებელია წარმოიშვას მოთხოვნა და გაჩნდეს ბიზნესორგანიზაციები, რომლებიც კვალიფიციურ სერვისს შესთავაზებენ სოციალური ზრუნვის ჯგუფებს. ექსპერტთა აზრით ასეთი ბიზნესორგანიზაციების ოდენობა არ იქნება დიდი, ხოლო მათი ბენეფიციარები იქნებიან საშუალოზე მაღალი და მაღალი შემოსავლების მქონე ადამიანები.